ორგანიზაციის საქმიანობის ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენი

ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

ღირსება თავისუფლება თანასწორობა DIGNITY LIBERTY EQUALITY

აგვისტო, 2013, №02 (2)

14 აგვისტოს ბრიფინგი

ცსკო-ს თავმჯდომარე პრეზიდენტის ზეწოლის შედეგად გადადგა

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ზურაბ ხარატიშვილის გადადგომა პრეზიდენტის მხრიდან განხორციელებული შესაძლო ზეწოლის შედეგია და საპარლამენტო ოპოზიციის 2013 წლის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობისა და 2016 წლის პარლამენტის არჩევნების შემდგომი შედეგების პროგნოზირებაზე მიანიშნებს. ორგანიზაციის შეფასებით, ზურაბ ხარატიშვილმა, გადადგომით პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, რომელმაც, შესაძლებელია, 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნების გამჭვირვალობასა და დემოკრატიულობაზე უარყოფითად იმოქმედოს.

გადადგომის გადაწყვეტილება, პრობლემების წინაშე აყენებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეფექტურ მუშაობას და ერთიანობაში, შესაძლებელია, გამოიწვიოს საპრეზიდენტო არჩევნების დისკრედიტაცია. ამიტომაც, საპრეზიდენტო არჩევნებამდე მიღებული გადაწყვეტილება მხოლოდ საპრეზიდენტო პარტიის პოლიტიკური ინტერესების გამომხატველია, რადგანაც უცნობია, ვის წარადგენს პრეზიდენტი ცსკო-ს ახალ თავმჯდომარედ, რამდენად მისაღები იქნება დასახელებული კანდიდატები საზოგადოებისთვის, ვინ აირჩევს თავმჯდომარეს - საარჩევნო კომისია თუ პარლამენტი, რამდენად იქნება შენარჩუნებული საარჩევნო სტაბილურობა და საარჩევნო ადმინისტრაციის მიუკერძოებლობის საკითხი.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ პოზიციით, საზოგადოება ვერ გაამართლებს ვერავითარ პოზიციას, რომელიც გადადგომის მიზეზებად შეიძლება დასახელდეს. მიგვაჩნია, რომ მიღებული გადაწყვეტილება ზეწოლის შედეგია და არა პასუხისმგებლობისგან გაქცევის, რადგანაც თუკი ზურაბ ხარატიშვილი ცესკოს თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომას აპირებდა, იგი გადაწყვეტილებას საარჩევნო პროცესის დაწყებამდე მაინც მიიღებდა.

მიღებული გადაწყვეტილება არ ხასიათდება მაღალი სამოქალაქო და სამართლებრივი პასუხისმგებლობით და საარჩევნო ადმინისტრაცია ჩიხში შეყავს. დღეს არსებობს მაღალი ალბათობა, რომ პრეზიდენტმა ცანტრალურ საარჩევნო კომისიას, ახალ თავმჯდომარედ შესთავაზოს ისეთი კანდიდატურა, რომლის მიმართაც, საზოგადოებას არ ექნება საკმარისი ნდობა და ვერ უზრუნველყოს არჩევნების სამართლიანი შედეგები.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს, რათა ცესკო-ს ახალი თავმჯდომარის წარდგენა მოხდეს სამოქალაქო სექტორთან ფართო კონსულტაციის შედეგად, გადამწყვეტია, საზოგადოება, არასამთავრობო სექტორი ჩაერთოს ცესკოს ახალი თავმჯდომარის წარდგენის პროცესში, რათა მომავალი - 2013 წლის ოქტომბრის საპრეზიდენტო, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობისა და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების მიმართ, არსებობდეს სრულფასოვანი ნდობა.

ცნობისთვის: ცესკოს თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს 15-ე დღისა პრეზიდენტი სამოქალაქო სექტორთან კონსულტაციების შემდეგ, თავმჯდომარის თანამდებობაზე ცესკოს წარუდგენს 3 კანდიდატურას. ცესკოში პარტიების მიერ დანიშნული წევრები (გარდა წინა საპარლამენტო არჩევნებში საუკეთესო შედეგების მქონე პარტიის მიერ დანიშნული წევრისა) თავმჯდომარეს 5 დღის ვადაში ირჩევენ. თუ ზემოაღნიშნული წესით ცენტრალური საარჩევნო კომისია ვერ მიიღებს გადაწყვეტილებას, იმავე კანდიდატურებიდან ცესკოს თავმჯდომარეს 7 დღის ვადაში ირჩევს საქართველოს პარლამენტი.

26 აგვისტოს ბრიფინგი

1127 მსჯავრდებული საარჩევნო ხმით უზრუნველყოფას მოითხოვს

ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ სასჯელაღსრულების სისტემაში გამჭვირვალე საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას და 1127 ამომრჩეველი მსჯავრდებულისთვის არჩევნებში მონაწილეობის სათანადო უზრუნველყოფას მოითხოვს. ამის შესახებ გამართულ ბრიფინგზე ორგანიზაციის ადვოკატმა, სოფიო ლეჟავამ განაცხადა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მიმართავს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს, რათა საჯარო გახდეს ინფორმაცია, მიმდინარეობს თუ არა მსჯავრდებული ამომრჩევლების სათანადო ინფორმირება საპრეზიდენტო კამპანიასთან დაკავშირებით, რამდენად ხელმისაწვდომია მათთვის პრეზიდენტობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამები, უზრუნველყოფილია თუ არა საარჩევნო პროცედურებით გათვალისწინებული სხვა საკითხების მოგვარება და ვინ უზრუნველყოფს ციხეში არჩევნების დაკვირვებას და მონიტორინგს.

კითხვებზე პასუხი მნიშვნელოვანია, რადგანაც სამინისტროს სისტემაში არჩევნების ჩატარების მძიმე მემკვიდრეობა ხვდა წილად. სასჯელაღსრულების სისტემაში, მათ შორის სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნები მხოლოდ ფასადური მდგომარეობა იყო. ამიტომაც, საპრეზიდნეტო არჩევნები პოირველი შემთხვევაა, როდესაც მსჯავრდებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ მათი სამოქალაქო უფლება თავისუფლების აღკვეთის ადგილას გამოხატონ.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროსგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, 2013 წლის 31 ივლისის მდგომარეობით, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის, სულ 1 129 მსჯავდებული იმყოფება. ამომრჩეველი მსჯავრდებულებდიან 1127 სრულწლოვანი, ხოლო 2 არასრულწლოვანია. აქედან 1109 სრულწლოვანი მამაკაცი, 18-სრულწლოვანი ქალბატონი და 2 არასრულწლოვანი ვაჟია.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ სამინისტროს ოთხი კითხვით მიმართა. კერძოდ, რამდენი პირი იმყოფებოდა პატიმრობაში ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის, რომელ საპატიმრო დაწესებულებაში იხდიდნენ ისინი სასჯელს, როგორი იყო სტატისტიკა, თუ რა ასაკობრივი კატეგორიის პირები იხდიდნენ სასჯელს ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის და მათ შორის, რამდენი მამაკაცი და ქალბატონია. სამინისტრომ საჯარო ინფორმაციას 2013 წლის —— აგვისტოს უპასუხა.

დღეს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს,იმ პირებს ვისაც ჩადენილი აქვს ნაკლებად მძიმე დანაშაული. მსჯავრდებული ამომრჩევლები ირიცხებიან სპეციალურ სიაში, რომელსაც სამინისტრო ადგენს. იმისათვის, რომ მოხდეს პატიმართა სრული იმფორმირება არჩევნებში მონაწილე კანდიდატების და საარჩევნო პროცედურების საკითხზე, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებათა ადმინისტრაციებს აკისრიათ ვალდებულება კენჭისყრამდე 8 დღით ადრე, უზრუნველყონ შესაბამისი ადგილების გამოყოფა ბეჭდვითი, სააგიტაციო მასალების, ფაილებისა და ბუკლეტების თვალსაჩინოებისთვის და განსათავსებლად.

მონიტორინგი

თსუ-ში, 2004 წლის შემდეგ, პირველი თავისუფალი არჩევნები ჩატარდა

გვ.4

მოკლედ

- ორგანიზაციამ, აგვისტოს თვეში, სხვადასხვა მნიშვნელოვან თემაზე, 7 პრესკონფერენცია გამართა
- ორგანიზაციამ, 8 აგვისტოს თარიღთან დაკავშირებით, გასვლითი შეხვედრა გამართა. ორგანიზაციამ შეამკო დაღუპულ გმირთა მემორიალი, მოინახულა წეროვანში მცხოვრები ტატუნაშვილების ოჯახი და მათ მატერიალური დახმარება აღმოუჩინა და იმყოფებოდა სოფელ დიცში, ოკუპაციის ხაზთან.
- ორგანიზაციამ, 2013 წლის აგვისტოს თვეში, სხვადასხვა უფლებამოსილი პირის მიმართ მოამზადა და გაგზავნა, სულ 64 წერილი. წერილები გაიგზავნა, როგორც ეროვნულ დონეზე, ასევე საერთაშორისო მიმართულებით. წერილები ეროვნულ დონეზე ეხებოდა ინსტიტუციურ დიალოგში თანამონაწილეობას, რეკომენდაციებს თავდაცვისა და დევნილთა სამინისტროების მიმართ, სხვა. საერთაშორისო მიმართულებით გაგზავნილი წერილები შედგება ორი ნაწილისგან — წერილები სტრუქტურული დიალოგის პროცესში გამოცდილების გაზიარებისათვის უნგრეთის, შვედეთისა და ესპანეთის ეროვნულ ჯგუფებს, ხოლო მეორე ნაწილი — საერთაშორისო ფონდებსა და საელჩოებს სამომავლო შეხვედრებისა და თანამშრომლობისათვის.
- „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ „თბილისი მარიოტში“ გამართეს პროექტის: „ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ,საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“ საჯარო პრეზენტაცია. აღნიშნულის ფარგლებში, აგვისტოში, ყველა საჯარო უწყებას გაეგზავნა ოფიციალური მიმართვა. უმრავლესობა საჯარო უწყებებისა დაეთანხმა ორგანიზაციის ინიციატივას წერილობითი ფორმით.
- ორგანიზაციამ დაასრულა კვლევაზე მუშაობა: „ქობულეთის საკრებულოს საქმიანობის საზოგადოებრივი კონტროლი 2012 წელს“ (დასკვნა გამოქვეყნდება 3 სექტემბერს)
- ორგანიზაციამ დაასრულა მუშაობა კვლევაზე: „დანაშაულის სტატისტიკა საქართველოში, 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ“ (დასკვნა გამოქვეყნდება სექტემბრის პირველ ნახევარში)
- ორგანიზაციაამ დაასრულა მუშაობა კვლევაზე: „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სმაინისტროს დაქვემდებარებული სსიპ ქობულეთის საზოგადოებრივი კოლეჯ „ახალი ტალღის“ ადმინისტრაციული მმართველობის გამჭვირვალობის შესახებ“ (კვლევა გამოქვეყნდება 5 სექტემბერს)
- ორგანიზაციამ მოამზადა დასკვნა: „რწმენისა და აღმსარებლობის გამოხატვის შესაძლებლობა საქართველოში — რეკომენდაციების პაკეტი“ (დასკვნა გამოქვეყნდება სექტემბრის პირველ ნახევარში
- ორგანიზაციამ აგრძელებდა მუშაობას კვლევაზე: „ლიდერი კომპანიები ახალი შრომის კოდექსის სტანდარტების დაცვის პროცესში.“ (დასკვნა გამოქვეყნდება სექტემბრის მეორე ნახევარში. კომპანიები აქტიურად თანამშრომლობენ.)
- ორგანიზაციის ადვოკატის მიერ მომზადებულ სასარჩელო განცხადებას დაედო ყადაღა.
- ორგანიზაციის იურისტებმა კონსულტაცია გაუწიეს მოქალაქეს, რომელიც ასააბუთებს დავის სამართლიანობას სადაზღვევო კომპანიასთან
- ორგანიზაციის იურისტებმა კონსულტაცია გაუწიეს მოქალაქეს, რომელიც მოითხოვს ბათილად იქნეს ცნობილი ბინის ამხანაგობის თავმჯდომარის ფიქტიური ოქმები, რითაც მოქალაქეების კერძო საკუთრებას კარგავენ.
- ორგანიზაციის იურისტებმა კონსულტაცია გაუწიეს მოქალაქეს, რომელიც ედავება მეზობელს საერთო საგზაო მიწის სარგებლობის უფლების შეზღუდვის გამო.
- ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ინსტიტუციური დიალოგის პროექტის ფარგლებში შეხვდა ახალაგზრდობის სამინისტროს წარმომადგენლებს.
- ორგანიზაციის იურისტები შეხვდნენ თსუ—ის რექტორ ლადო პაპვას წარმომადგენელს თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივების განხილვისთვის.
- ორგანიზაცია სრულად დააკვირდა თსუ რექტორის არჩევნებს.
- ორგანიზაციამ გამოსცა ივლისის თვის საქმიანობის გაზეთი და გავრცელდა ელექტრუნული ქსელით.
- ორგანიზაციამ შექმნა და 19 აგვისტოდან ფუნქციონირება დაიწყო ახალმა საიტმა

ინიციატივის დაწყება

ხელისუფლებასთან ინსტიტუციური დიალოგი დაიწყო

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“, 2013 წლის 19 აგვისტოს, ახალი ინიციატივის პრეზენტაცია, „თბილისი მარიოტში“ გამართეს. ორგანიზაციის ახალი ინიციატივა საჯარო მმართველობის გამჭვირვალობასა და სამოქალაქო კონტროლის შესაძლებლობებს იძლევა. „ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი, 1 სექტემბრიდან განახორციელებს ინიციატივას: „სტრუქტურული დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო, სასამართლო ხელისუფლებასთან“. ინიციატივის მიზანს წარმოადგენს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ინსტიტუციების მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღალება, საჯარო უწყებების გამჭვირვალობა და ურთიერთობის უწყვეტობა საზოგადოებასთან, მაღალი საჯარო ინტერესის უზრუნველყოფა, ახალგაზრდების თანამონაწილეობა საჯარო მმართველობის პროცესში და ინსტიტუციური დიალოგის, როგორც კულტურის ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან ინსტიტუციურ დიალოგს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. არსებობს მაღალი საჯარო ინტერესი საქართველოს მთავრობის, პარლამენტისა და სასამართლო სისტემის ეფექტური მუშაობის მიმდინარეობასთან. ამიტომაც, ხელისუფლებას უფლება არ აქვს დაუშვას შეცდომები, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2004—2012 წლებში. ხელისუფლების შტოთა საქმიანობის მიმართ ნდობას, გამჭვირვალობას და ავტორიტეტს საზოგადოებასთან მუდმივი კომუნიკაცია განსაზღვრავს. ამ მიმართულებით, მედიასთან ერთად, მთავარი როლი არასამთავრობო ორგანიზაციებსაც უჭირავთ.

ორგანიზაციის შეფასებით, დიალოგი აუცილებელია, რადგანაც აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაში მიმდინარე საქმიანობას საფუძვლად უდევს ახალი ხელისუფლებისათვის მძიმე პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური მემკვიდრეობა, მმართველ პოლიტიკურ ძალასა და საპარლამენტო ოპოზიციას შორის დაწყებული კოჰაბიტაცია, პოლიტიკური მანიპულაციები, რითაც შესაძლებელია ზოგიერთი მნიშვნელოვანი წინადადება, ინიციატივა და მოვლენა ყურადღების მიღმა დარჩეს. სწორედ ამ მიმართულებით, ახალგაზრდობის ჩართულობა მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს სახელმწიფო ინსტიტუტების პასუხისმგებლობის, ანგარიშვალდებულებისა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის მუდმივობაში, რაც უფრო მეტად გახდის საზოგადოებრივ აზრს სტაბილურს და სამოქალაქო საზოგადოებას დაუბრუნებს ნამდვილ ფუნქციას.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ინსტიტუციური დიალოგის კულტურის დამკვიდრებას ქართული პოლიტიკისთვის აუცილებელ პრინციპით ხსნიან. ამიტომაც, ორგანიზაცია გამოდის წინადადებით და საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატებს მიმართავს, რათა მათ საარჩევნო პროგრამებში ცალკე თავი დაეთმოს საზოგადოებასთან ინსტიტუციური დიალოგის ჩამოყალიბებას და ფორმებს. ორგანიზაცია მიესალმება საქართველოში ინსტიტუციური დიალოგის საპრეზიდენტო პროგრამად ჩამოყალიბებას და ამ კუთხით, საპრეზიდენტო კანდიდატებს უნგრეთის მაგალითის გაზიარებისკენ მოუწოდებს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ინიციატივა — ინსტიტუციური დიალოგი აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან იქნება პირველი შემთხვევა, რომელიც ახლებურად წარმოაჩენს და ხელს შეუწყობს საჯარო უწყების ანგარიშვალდებულების გაზრდას საზოგადოების წინაშე და ახლგაზრდების მონაწილეობის უზრუნველყოფას საჯარო პოლიტიკის განხორციელების პროცესში. ორგანიზაციამ პროექტში მონაწილეობისთვის უკვე მიმართა საქართველოს მთავრობას, პარლამენტს, სასამართლო ხელისუფლებას. შეთავაზება მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საჯარო უწყებებისათვის. პროექტში მონაწილეობას უკვე დასთანხმდნენ საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის, ევროინტეგრაციის, ფინანსთა სამინისტროები. აგრეთვე საპარლამენტო კომიტეტები. სასამართლოს მხრიდან, ამ დროისთვის, გამოხმაურება არ ყოფილა, რაც უნდა აიხსნას ხელმძღვანელი პირების საშვებულებო პერიოდით.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საჯარო უწყების პირველ პირებთან პირდაპირი დიალოგის ფორმატში, ყველა პრობლემურ და აქტუალურ საკითხზე გამართავენ მსჯელობას. ფორმატში მონაწილეობას მხოლოდ ორგანიზაციის გუნდი და წევრი ადვოკატები მიიღებენ. დიალოგის შესახებ საზოგადოება ინფორმაციას მომზადებული ანგარიშის მიხედვით მიიღებს. ასევე, ინიციატივა განხორციელდება მედიის აქტიური მონაწილეობით.

„ახალგაზრდა ადვოკატრების“ პროექტი მუდმივმოქმედი ფორმატი იქნება და ყოველთვიურად, სამი შეხვედრა მომზადდება. ინიციატივის ფორმატი ქართული სინამდვილისთვის ახალია, რომელსაც ანალოგი, მხოლოდ უნგრეთში, ესპანეთსა და ბელგიაში გააჩნია. ურთიერთთანამშრომლობის ფორმატში, „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ უკვე მიიღეს საჭირო კონსულტაცია აღნიშნული ქვეყნების ეროვნული ჯგუფებისგანაც და დაგეგმილია მთთან კომუნიკაციით, გამოცდილების კიდევ უფრო მეტად გათვალისიწინება.

8 აგვისტო

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მუხათგვერდზე, წეროვანსა და დიცში

„ახალგაზრდა ადვოკატები“ რუსეთ—საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა პატივგების კვირეულს შეუერთდა. ორგანიზაციამ, 8 აგვისტოს, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე, პატივი მიაგო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ხსოვნას. შემდეგ შეხვდა წეროვანის დევნილთა ჩასახლებაში, ახალგორიდან ადგილნაცვალ ბადრი ტატუნაშვილის 7 სულიან ოჯახს და გამოვხატეთ თანადგომა, ხოლო ბოლოს, შეხვედრა გამართა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ დიცში ადგილობრივებთან. ორგანიზაციის ჯგუფი მივიდა ოკუპაციის ხაზთან და მავთულხლართებთან, სადაც შეხვდა სოფლების: დიცის, ქორდისა და არბოს რწმუნებულსაც.

ღონისძიების მიზანი იყო მხარდაჭერა და თანადგომა ადგილაცვალი პირების მიმართ, მათ წინაშე არსებული პრობლემურ საკითხებში დახმარება, პატივგება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის დაღუპული ჯარისკაცების მიმართ და კონფლიქტისპირა სოფელში ჩასვლით, არსებული ვითარებაზე უტყუარი ინფორმაციის მიღება.



29 აგვისტოს ბრიფინგი

შრომის კოდექსი კონკორდატს ეწინააღმდეგება და გადახედვას მოითხოვს

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მზადყოფნას გამოთქვამს მონაწილეობა მიიღოს საქართველოს შრომის კანონმდებლობის შემდგომ დახვეწაში, რომელიც საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს და საკანონმდებლო წინადადების სახით წარმოადგინოს კოდექსში შესატანი ცვლილებები, რომელიც აღმოფხვრის ხარვეზსს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებულ კონსტიტუციურ შეთანხმებასა და მოქმედ შრომის კოდექსს შორის. ამის შესახებ გამართულ ბრიფინგზე, ორგანიზაციის ერთ—ერთმა ხელმძღვანელმა, მარიკა არევაძემ განაცხადა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, მოქმედი შრომის კოდექსი ეწინააღმდეგება ეკლესიასთან დადებულ კონსტიტუციურ შეთანხმებას (კონკორდატი) და სამართლებრივ ხარვეზსს ქმნის. საუბარია უქმი დღეების რეგულირების საკითხზე, რომელსაც შრომის კანონმდებლობა ადგენს და ცდება კონსტიტუციურ შეთანხმებაში მითითებულ იმ ჩამონათვალს, რომელიც შრომის კანონმდებლობას უნდა გაეთვალისწინებინა.

„საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ არსებული კონსტიტუციური შეთანხმებით, მხარეებს მიღწეული აქვთ შეთანხმება, ისეთ საკითხზე, როგორიც არის დასვენების დღეები. კერძოდ კონკორდატით დიდი საეკლესიო დღესასწაულები და კვირა დღეები გამოცხადებულია დასვენების დღეებად. კონსტიტუციური შეთანხმებით, დიდ საეკლესიო დღესასწაულებად მიჩნეულია: 1. წმიდა ნინოს ხსენების დღე (27 იანვარი); 2. მირქმა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი (15 თებერვალი); 3. ხარება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა (7 აპრილი); 4. სააღდგომო დღეები — დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, 5. აღდგომის კვირადღე (გარდამავალია); 6. ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (გარდამავალია); 7. საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის — წმიდა ანდრია მოციქულის ხსენების დღე (12 მაისი); 8. ფერისცვალება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი (19 აგვისტო); 9. შობა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა (21 სექტემბერი); 10. მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვრისა (27 სექტემბერი) და ტაძრად მიყვანა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა (4 დეკემბერი).

ორგანიზაციის შეფასებით, მოქმედი შრომის კოდექსის მე-20-ე მუხლით, რომლითაც განსაზღვრულია უქმე დღეები, დასვენების დღეებად, კონკორდატით გათვალისწინებული დიდი საეკლესიო დღესასწაულებიდან მხოლოდ სააღდგომო დღეები და 12 მაისი - საქართველოს ეკლესიის, როგორც სამოციქულო საყდრის, დამაარსებლის — წმიდა ანდრია მოციქულის ხსენების დღეა აღიარებული.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს შრომის კოდექსი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციური შეთანხმებით განსაზღვრულ პირობებს, ვინაიდან კონსტიტუციური შეთანხმება იერარქიულად ორგანულ კანონზე მაღლა მდგომი ნორმატიული აქტია, დღეს არსებული რეალობა კი ცალსახად მიუთითებს, რომ მოქმედი შრომის კოდექსის მე-20-ე მუხლი წინააღმდეგობაში მოდის კონკორდატთან.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წერილობით უკვე მიმართა და შრომის კოდექსის გაუმჯობესების მიზნით, ცვლილებების სამუშაო ჯგუფთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა. ორგანიზაციის რეკომენდაცია გულისხმობს, შრომის კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდეს „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმებით დადგენილ პირობებთან, აგრეთვე, სხვა წინადადებები ეხება შრომის კანონმდებლობაში ქალთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფას.

12 აგვისტოს ბრიფინგი

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მთავრობას დევნილი მოსახლეობისთვის კომუნალური პრობლემების მოგვარებისთვის მიმართავს

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს მთავრობას წეროვანის დევნილთა დასახლებაში არსებული პრობლემების მიმართ რეაგირებისკენ მიმართავს. ორგანიზაცია მოითხოვს შესწავლილ იქნეს მოსახლეობის კომუნალურ მომსახურებაში არსებული ორი მთავარი პრობლემა — ბუნებრივი აირის მიმწოდებელი კომპანია „კასპი გაზის“ მიერ დაწესებული ტარიფის სამართლიანობა და პასუხი გაეცეს კითხვას, აპირებს თუ არა მთავრობა 2011 წლის მარტიდან შეწყვეტილი ბუნებრივი აირის ხარჯების დაფარვას. ამის შესახებ გამართულ ბრიფინგზე, ორგანიზაციის იურისტმა, ანა კიკნაძემ განაცხადა.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ წეროვანის დასახლებაში ადგილნაცვალ პირებთან შეხვედრის დროს მიიღეს ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, „კასპი გაზის“ მიერ ბუნებრივ აირზე დაწესებული ტარიფი ორჯერ აღემატება ყველა სხვა მუნიციპალიტეტში არსებულ ტარიფს. კომპანიამ არაერთ მოქალაქეს სასამართლოში უჩივლა, რათა კომუნალური დავალიანების გადახდა ამ გზით მომხდარიყო, მაგრამ გადახდისუუნარო ოჯახები დღემდე ვერ ახერხებენ დავალიანების დაფარვას. წეროვანის დასახლებაში, კომუნალური დავალიანება 2011 წლიდან გაჩნდა, რა დროსაც სახელმწიფომ დევნილების სასარგებლოდ, ბუნებრივი აირის ხარჯების დაფარვა შეწყვიტა. ადგილობრივი მცხოვრებლები დახმარებას ხელისუფლებას სთხოვენ. მართალია, ცოტა ხნის წინ, იძულებით გადაადგილებულ პირთა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო მათ ბუნებრივი აირის დანახარჯზე, თებერვალსა და მარტში, 50-50 ლარიან შეღავათს დაჰპირდა, თუმცა მარტში დარიგებულ ქვითრებზე, არც ერთი ლარით შეღავათი არ დაფიქსირებულა. მოსახლეობის ინფორმაციით, კომპანია „კასპი გაზი“ მოსახლეობისთვის ახალ სანქციასაც აწესებს. კერძოდ, დავალიანების მქონე ოჯახები, ყოველთვიურად, 10—10 ლარით დაჯარიმდებიან.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ წეროვანის დასახლებაში ადგილნაცვალი პირების პრობლემების შესახებ ინფორმაციას საქართველოს ენერგეტიკისა და ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროებს მიაწვდის.

ორგანიზაცია მოითხოვს, შესწავლილ იქნეს კომპანია „კასპი გაზის“ სატარიფო პოლიტიკა წეროვანის დევნილთა დასახლებისთვის და მთავრობამ მკაფიოდ გამოხატოს პოზიცია ბუნებრივ აირზე დავალიანების მქონე ოჯახებისთვის დახმარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. სხვა შემთხვევაში, წეროვანში დასახლებულ დევნილებს მძიმე ზამთარი ელოდებათ.

ცნობისთვის: „ახალგაზრდა ადვოკატები“ წეროვანში ადგილანცავლ პირებს 2013 წლის 8 აგვისტოს შეხვდნენ.

3 აგვისტოს ბრიფინგი

ბაჩო ახალაიას უდანაშაულობაზე საუბარი ნაადრევია

„ახალგაზრდა ადვოკატები“ საზოგადოებას მიმართავს და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ თავდაცვის ყოფილი მინისტრის ბაჩო ახალაიას საქმეზე გამამართლებელი გადაწყვეტილების შეფასებისას, ნაადრევი დასკვნების გამოტანისგან თავშეკავებას სთხოვენ. ამის შესახებ გამართულ ბრიფინგზე ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, არჩილ კაიკაციშვილმა განაცხადა.

საზოგადოებამ სასამართლოს გადაწყვეტილება არ უნდა შეაფასოს, როგორც საბოლოო ვერდიქტი, რადგანაც საზოგადოებისთვის ცნობილია მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. ორგანიზაცია, ერთი მხრივ იცავს უდანაშაულობის პრეზუმფციას, მეორე მხრივ კი, ყურადღებას ამახვილებს გადაწყვეტილების პოლიტიკურ და სამართლებრივ ნაწილზე.

სასამართლოს არ აღმოაჩნდა საკმარისი გამბედაობა საქმეზე გადაწყვეტილება სრულად გამოეცხადებინა, რითაც დაკმაყოფილდებოდა საზოგადოებრივი ინტერესი და დადგინდებოდა, რატომ მიიღო მართლმსაჯულებამ გამამართლებელი გადაწყვეტილება - ბრალდების მტკიცებულებების არასაკმარისობის გამო, არაეფექტური გამოძიების თუ დაცვის მხარის სასამართლო შეჯიბრითობაში უპირატესობით.

სასამართლოს გადაწყვეტილებამ საზოგადოებას დაუტოვა ვარაუდის თავისუფლება. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქმე სათანადოდ არ იყო გამოძიებული, მეორე მხრივ კი სასამართლომ მიღებული გადაწყვეტილებით, დამოუკიდებლობის ტესტი ვერ ჩააბარა. საზოგადოების ვარაუდებს პასუხი გაეცემა მას შემდეგ, როდესაც თბილისის საქალაქო სასამართლო საქმეზე დასაბუთებულ განაჩენს გამოაქვეყნებს.

ორგანიზაცია საზოგადოებას შეახსენებს, რომ სასამართლოს განაჩენის აღწერილობით ნაწილში განმარტებულია, თუ რაში ედებოდა პირს ბრალი, სამოტივაციო ნაწილში ნაჩვენებია, თუ რა გამოირკვა სასამართლო განხილვაზე და სარეზოლუციო ნაწილში ჩანს, რა დაასკვნა სასამართლომ. თუკი გაგაწყვეტილების რომელიმე ნაწილი სათანადოდ არ არის დასაბუთებული, შეუძლებელია ვისაუბროთ გამოცხადებული გადაწყვეტილების საფუძვლიანობასა და დასაბუთებულებაზე. შესაბამისად, ბაჩო ახალაიას უდანაშაულობაზე საუბარი ნაადრევია, რადგანაც საბოლოო შეფასებები მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ შეიძლება არსებობდეს.

17 აგვისტოს ბრიფინგი

თავდაცვის სამინისტროში საკადრო და სისტემური პრობლემები გრძელდება

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს თავდაცვის სამინისტროში სისტემური პრობლემების შესახებ მინისტრ ირაკლი ალასანიას კიდევ ერთხელ მიმართავს. ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს სამინისტროში არსებულ საკადრო პრობლემებსა და შეიარაღებულ ძალებში შექმნილ ვითარებაზე. კერძოდ, როგორც „ახალგაზრდა ადვოკატებს“ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრებმა აცნობეს, შეიარაღებული ძალების სამხედრო ნაწილებში ინფექციური დაავადებების რიცხვმა იმატა. საუბარია ჩუტყვავილას მასობრივ გავრცელებაზე გორის სამხედრო ბაზაზე დისლოცირებულ ვაშლიჯვრის სპეცნაზმის მოსამსახურეებში.

მიღებული ინფორმაციით, სამხედრო მოსამსახურეების მიმართ, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცესში, დაშვებულ იქნა შეცდომა. ჩუტყვავილას ვაქცინაციის ნაცვლად, განხორციელდა სხვა ვირუსული დაავადების საწინააღმდეგო სამედიცინო დახმარება.

„ახალგაზრდა ადვოკატებს“ მიგვაჩნია, რომ უკვე მერამდენედ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, სისტემურ და საკადრო პრობლემებს აქვს ადგილი. ორგანიზაცია მიუთითებს, რომ ასეთი შემთხვევები არაპროფესიონალიზმზე და სისტემაში საკადრო პოლიტიკის ხარვეზებზე მიუთითებს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, შესწავლილ იქნეს, როგორც გორის სამხედრო ბაზაზე მომხდარი ფაქტი, ასევე მინისტრმა გადახედოს საკადრო პოლიტიკას. პასუხს მოითხოვს პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციაც. რომლის თანახმადაც, თავდაცვის სამინისტროში, დღემდე, მაღალ თანამდებობებს, კოდ—ის და სოდი—ის ყოფილი მაღალი უფლებამოსილების მქონე პირები იკავებენ.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მიმართავს თავდაცვის მინისტრს, რათა უზრუნველყოს უწყების ყველაზე მნიშვნელოვანი — უსაფრთხოების დაცვა სწორი საკადრო პოლიტიკით. ამ თვალსაზრისით, პასუხს საჭიროებს საკადრო პოლიტიკა სამხედრო პოლიციაშიც. არსებული ინფორმაციით, სწორედ სამხედრო პოლიციაა დაკომპლექტებული კუდ—ისა და სოდ—ის ყოფილი თანამშრომლებით. აგრეთვე, საუბარია საკადრო პოლიტიკის მიმართულებით არსებულ ნეპოტიზმის ფაქტებზე, რაც საერთო ჯამში, სერიოზულ გადახედვას საჭიროებს. სამინისტროს მხრიდან, ამ მიმართულებით, უპასუხოდაა დატოვებული 2013 წლის 9 აგვისტოს, გაზეთ „რეზონანსში“გამოქვეყნებულ პუბლიკაციაც, რომლიც საკადრო პოლიტიკის შეცდომებზე კონკრეტულ ფაქტებს შეიცავს.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ კიდევ ერთხელ მივმართავთ საქართველოს თავდაცვის მინისტრს, რათა დროულად მიიღოს გადაწყვეტილებები სფეროში არსებული საკადრო, საორგანიზაციო და სისტემური პრობლემების დარეგულირებისთვის. სამწუხაროა, როდესაც სამინისტრო დღემდე უპასუხოდ ტოვებს ორგანიზაციის მიერ გახმაურებულ ფაქტს, სენაკის სამხედრო ბაზაზე, 52 ჯარისკაცის საკვებით მოწამვლის შესახებ. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული შემთხვევაც, სწორედ არასწორი მმართვის მენეჯმენტისა და საკადრო პოლიტიკის შედეგია.

გამოხმაურება

თავდაცვის სამინისტროს დაღასტურება ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტზე

ა/ო „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ 2013 წლის 30 აგვისტოს განცხადებით მიმართეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მოითხოვეს საჯარო ინფორმაცია სფეროს 5 მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ: 1. ადასტურებს თუ არა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 2013 წლის 25 ივლისს, სენაკის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცების მოწამვლის შემთხვევას? ასეთი ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, რა რეაგირების მოხდენას აპირებს სამინისტრო, 2. გთხოვთ, მოგვეწოდოს ინფორმაცია, რომელი კონტრაქტორი კომპანიები რომელ სამხედრო ბაზებს უზრუნველყოფენ კვებითი მომსახურებით? 3. გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, კომპანია „ქართული კვების“ რომელ სამხედრო ბაზებს უზრუნველყოფს კვებითი მომსახურებით, რა პერიოდიდან და რამდენს შეადგენს კომპანიის მიერ შეიარაღებული ძალების საკვებით უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი? 4. აპირებს თუ არა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო კვებით მომსახურებაზე ტენდერის გამოცხადებას (გნებავთ, გაგრძელებას, აღდგენას, განახლებას) 5. სამხედრო მოსამსახურეთა არანორმირებული კვების სისტემის დატოვება, სამინისტროს საბოლოო გადაწყვეტილებაა თუ დროებითი გარემოება. რა ცვლილებები იგეგმება ამ მიმართულებით.

2013 წლის 23 აგვისტოს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წერილით, ნაწილობრივ პასუხი გაეცა ორგანიზაციის წერილით დასმულ მოთხოვნებს, რაც მიგვაჩნია, რომ ჯეროვანი კომუნიკაციის შედეგია. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სენაკის სამხედრო ბაზაზე ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტი დაადასტურა. საჯარო უწყების ეს განცხადება მნიშვნელოვანია, რადგანაც ზოგიერთი სამხედრო ექსპერტი და სამინისტროს მრჩეველი კატეგორიულად მოითითებდნენ, რომ ორგანიზაციას საზოგადოება შეცდომაში შეყავდა, როდესაც ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტის შესახებ პირველი განცხადება გაავრცელა.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ მივესალმებით „ქართული კვების კომპანიის“ 2013 წლის 27 აგვისტოს არასამთავრობო სექტორთან გამართულ შეხვედრას, სადაც კომპანიაში შეცვლილი მენეჯმენტის მიზეზებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. მიგვაჩნია, რომ მიღებული ინფორმაცია საინტერესოა და გამოვთქვამთ სურვილს კომპანიასთან სამომავლო თანამშრომლობისთვის, თუმცა ცალსახად გავმარტავთ, რომ „ქართული კვების კომპანია“ თავდაცვის სფეროს ლოჯისტიკაში კვლავ მონოპოლისტურ მდგომარეობას იკავებს და გამართული მენეჯმენტი ვერ ჩაანაცვლებს მის ამ სტატუსს.



საქართველო
თავდაცვის სამინისტრო

GEORGIA
MINISTRY OF DEFENCE

23. 08 2013 წ.

№ 7/2940

მონიტორინგი

თსუ-ში, 2004 წლის შემდეგ, პირველი თავისუფალი არჩევნები ჩატარდა

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რექტორის არჩევნების დაკვირვებისა და წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგის შედეგები 18 აგვისტოს წარმოადგინეს. „ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახალი რექტორის არჩევა, სამართლიანი და გამჭვირვალე საარჩევნო პროცედურების დაცვით მოხდა. დაცული იქნა ხმის მიცემის ფარულობა და არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, პრეტენზია ან შენიშვნა, რომლითაც საარჩევნო კომისიის მუშაობა ან/და საარჩევნო დღე უარყოფითად შეფასდებოდა. უნივერსიტეტის რექტორი თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების შედეგად იქნა არჩეული. თსუ—ში, 2004 წლის შემდეგ, პირველი თავისუფალი არჩევნები ჩატარდა.

„ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ყურადღება დაუთმო, უნივერსიტეტში, როგორც წინასაარჩევნო პერიოდში მდგომარეობას, ასევე არჩევნების დღის პროცედურულ ნაწილს. ორგანიზაციამ მოახდინა რექტორის არჩევნების მონიტორინგი და დაკვირვება. მონიტორინგის ფარგლებში, ორგანიზაციამ რექტორობის რეგისტრირებულ 14 კანდიდატთან წერილობითი კომუნიკაცია და მათი ანკეტური გამოკითხვა მოახდინა, ხოლო დაკვირვების ეტაპზე, შეფასდა საარჩევნო დღის პროცედურული მხარე და არჩევნების შედეგები. ორგანიზაციამ მოამზადა დოკუმენტი, რომელიც უნივერსიტეტში არჩევნების გამჭვირვალობის საკითხებს ეხება. კვლევაში მონაწილეობა, სულ რექტორობის 10 კანდიდატმა მიიღო.

I კითხვაზე: „როგორ ფიქრობთ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013 წლის 16 აგვისტოს რექტორის არჩევნებისთვის უზრუნველყოფილია თუ არა არჩევნების გამჭვირვალობის საკითხი?“, პასუხი ასე გადანაწილდა: უზრუნველყოფილია გამჭვირვალობა (7 კანდიდატი); არ არის უზრუნველყიფილი გამჭვირვალობა (2 კანდიდატი); შეფასებისგან თავი შეიკავა (1 კანდიდატი)

II კითხვაზე: „წინასაარჩევნო პერიოდში, გქონდათ თუ არა შესაძლებლობა თქვენი საარჩევნო პროგრამა გაგეცნოთ უნივერსიტეტის სამეცნიერო, აკადემიური და სტუდენტური საზოგადოებისათვის? გთხოვთ, ფაქტობრივი გარემოებებით გაამყაროთ თქვენი შეფასება?“, პასუხი ასე გადანაწილდა: არსებობდა შესაძლებლობა (8 კანდიდატი); არ ჰქონდა შესაძლებლობა (1 კანდიდატი); ნაწილობრივ მიეცა შესაძლებლობა (1 კანდიდატი)

III კითხვაზე: „თქვენი აზრით, რექტორის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდისთვის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოქმედი რექტორატისა და ადმინისტრაციის მხრიდან ხომ არ ყოფილა რექტორობის რომელიმე კანდიდატის მიმართ უპირატესობის მინიჭება? რა ფაქტობრივ გარემოებებს ემყარება თქვენი შეფასება“, პასუხი ასე გადანაწილდა: რექტორობის რომელიმე კანდიდატის მიმართ უპირატესობა არ ყოფილა (6 კანდიდატი); პასუხისგან თავი შეიკავა (2 კანდიდატი); რექტორობის ერთი კანდიდატის მიმართ უპირატესობა იყო (2 კანდიდატი)

IV კითხვაზე: „თქვენი აზრით, რამდენად ეფექტურად მუშაობს თსუ—ის რექტორის არჩევნებისთვის შექმნილი საარჩევნო კომისია? როგორ შეფასდება საარჩევნო კომისიის დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობისა და კომპეტენტურობის საკითხი?“, პასუხი ასე გადანაწილდა: საარჩევნო კომისიის ეფექტური მუშაობა არსებობდა (7 კანდიდატი); საარჩევნო კომისია არაეფექტურად მუშაობდა (2 კანდიდატი); საარჩევნო კომისიის ეფექტურ მუშაობის შეფასებისგან თავი შეიკავა (1 კანდიდატი)

V კითხვაზე: „როგორ ფიქრობთ, რამდენად მაღალია თსუ—ის აკადემიური საბჭოს ნდობისა და დამოუკიდებლობის ხარისხი?“, პასუხი ასე გადანაწილდა: აკადემიური საბჭოს ნდობა და დამოუკიდებლობა არსებობს (4 კანდიდატი); აკადემიური საბჭოს ნდობისა და დამოუკიდებლობის შეფასებისგან თავი შეიკავა (4 კანდიდატი) აკადემიური საბჭოს მიმართ უნდობლობა (2 კანდიდატი)

ორგანიზაციამ მონიტორინგის პროცესში, წინასაარჩევნო პერიოდში სხვადასხვა პრობლემების იდენტიფიცირებაც მოახდინა. კერძოდ,

- რექტორობის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხვედრების იდენტური დრო, რომელიც მეორე კანდიდატს ხელს უშლიდა საკუთარი პროგრამის უფრო ფართო აუდიტორიის წინაშე წარდგენაში;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში რექტორობის რამდენიმე კანდიდატის მიმართ დათმობილი უფრო ვრცელი საგაზეთო ფართი;
- ქართული მედიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის წინასაარჩევნო პერიოდის მიმართ გამოვლენილი ნაკლები ყურადღება;
- სრულფასოვანი საარჩევნო კამპანიის შეუძლებლობა და რექტორის არჩევნების გამართვის საზაფხულო პერიოდი, უნივერსიტეტისთვის დასვენებისა და შვებულებების პერიოდში;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ—გვერდის მიერ დაგვიანებული, ხშირ შემთხვევაში ინფორმაციის ნაკლებობა რექტორობის კანდიდატების შეხვედრების გრაფიკისა და შეხვედრების შემდგომი გაშუქებისათვის;
- რექტორობის კანდიდატებთან სტუდენტების მხირდან შეხვედრების ნაკლები ინიციატივა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, იმ ტექნიკური და საორგანიზაციო სახის საკითხებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წინასაარჩევნო პერიოდში, გავლენა ვერ იქონია არჩევნების შედეგებზე. ანკეტური გამოკითხვით დადასტურდა, რომ რექტორობის კანდიდატობის უმრავლესობას შესაძლებლობა ჰქონდა ეწარმოებინა წინასაარჩევნო კამპანია და წარმსდგარიყო საკუთარი პროგრამით აკადემური საბჭოს წინაშე. რექტორობის კანდიდატების უმრავლესობის შეფასებებმა ცალსახად მიუთითეს თსუ—ის არჩევნების დეპოლიტიზირების ნამდვილობაზე. უნივერსიტეტში რექტორის არჩევნები თავისუფალი აღმოჩნდა პოლიტიკური პარტიების ინტერესებისგან. 2013 წლის რექტორის არჩევნები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გამოარჩევდა 2004—2010 წლებში ჩატარებულ ყველა მმართველობის დონის არჩევნების პროცესს, რომელიც ნაკარნახევი იყო ხელისუფლების მხრიდან უნივერსიტეტის ავტონომიაში უხეში ჩარევით და უნივერსიტეტის გადაწყვეტილებების პროცესში გავლენის მოპოვებით.

ჩვენს შესახებ

„ახალგაზრდა ადვოკატები“ წარმოადგენს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლით აღიარებული პრინციპებისა და მიღებული წესდების (შინაგანაწესის, სტრატეგიული დოკუმენტებისა და ინსტრუქციების) შესაბამისად.

ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტები/ინიციატივები 2012—2013 წლებში

1. პროექტი „საბჭოთა და პოსტ—საბჭოთა ქართული ანაბრების პრობლემის სამართლებრივი ანალიზი“, 2013
2. პროექტი „განათლების სისტემაში პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებულთა სამართლებრივი დაცვა“ 2013
4. პროექტი „პარლამენტის წევრობის ახალგაზრდული ასაკის პოლიტიკური მიზანი და საერთაშორისო პრაქტიკის მიმოხილვა“. 2012
5. კვლევა: „საქართველოს პარლამენტისა და მსოფლიოს საკანონმდებლო გამოცდილების შედარებითი ანალიზი“ 2012
6. პროექტი „საარჩევნო პროგრამების მონიტორინგი“, 2012
7. კვლევა: „საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პარტიების საარჩევნო პროგრამები“. 2012
8. კვლევა: „გამოხატვის თავისუფლების საკითხი დამოუკიდებელი ტელეკომპანიების საქმიანობაში“ 2012
9. დასკვნა: „ტელეკომპანია „მაესტროს“ ქონების დაყადაღების საკითხის სამართლებრივი და ეკონომიკური შეფასება“, 2013

„ახალგაზრდა ადვოკატები“, 2012 წლის ივლისიდან, აქტიურ უფლებადაცვით საქმიანობას მიმართავს და ახალგაზრდულ არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის, აქტიური წვლილი შეაქვს დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებების/თავისუფლებების დაცვისა და კანონის უზენაესობის მხარდაჭერაში. ორგანიზაცია ანხორციელებს სტრატეგიულ საქმისწარმოებას, რაც საადვოკატო საქმიანობის ფორმებთან ერთად, გულისხმობს მჭიდრო ურთიერთობას საქართველოს აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებასთან. ამ მიმართულებით, „ახალგაზრდა ადვოკატები“ ჩართულია საქართველოს პარლამენტთან არასამთავრობო ორგანიზაციათა დიალოგის ჯგუფის ფორმატში, მონაწილეობს სამთავრობო უწყებებთან არსებული საზოგადოებრივი მონიტორინგის შემადგენლობაში, თანამშრომლობს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან, პროფესიულ გაერთიანებებთან, საქართველოში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და დიპლომატიურ კორპუსთან, წარმოადგენს ახალგაზრდულ ალიანსს: „ეკონომიკური სამართლიანობისა და ბიზნესის თავისუფლებისთვის“.

„ახალგაზრდა ადვოკატები“ ორიენტირებულია კვლევით საქმიანობაზე, ამზადებს თემატურ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, მრგვალ მაგიდას აქტუალური თემების გაშუქებისა და დისკუსიისათვის. ამასთან, ორგანიზაცია ძირითად სტრატეგიად აცხადებს: ჩართულობას უფლებებისა და კანონის უზენაესობის პროცესში, მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, კანონმდებლობის ექსპერტიზის, პროფესიული განვითარების, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელების, თვითმმართველობების ინსტიტუციური გაძლიერების, მოწყვლადი ჯგუფების უფლებების დაცვის, მედია-ადვოკატირების, არჩევნების მონიტორინგისა და ახალგაზრდული პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ გუნდი აქტიურ მონაწილეობას იღებს საზოგადოებრივი ინიციატივების შექმნასა და განხორციელებაში. ორგანიზაციის საქმიანობას ფართო ყურადღება ეთმობა მედიაში.

Non-Profit Human Rights NGO Young Barristers”არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი “ახალგაზრდა ადვოკატები”

ახალგაზრდა ადვოკატები YOUNG BARRISTERS

ორგანიზაციის სადამფუძნებლო საბჭო: არჩილ კაიკაციშვილი, მარიკა არევაძე, თინათინ ნიბლოშვილი

ორგანიზაციის გუნდი: სოფიო ლეჟავა, მარიამ ნეფარიძე, ნინი ჯაჯანიძე, ნინო ღაჭავა, ნინი ისაკაძე, ანი კიკნაძე, ლევან ბერაძე, ჯაბა სირაბიძე, გიგა ასანიშვილი, რობი გეთიაშვილი

სოფიო აზარიაშვილი - **საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი**; გუკა ბაკურაძე - **ოფისს-მენეჯერი**; გულო არევაძე - **ფინანსური მენეჯერი**

მისამართი: თბილისი, საბურთალო, ვაზისუბნის ქუჩა №7;

E-mail: pryoungbarristers@yahoo.com, pryoungbarristers@gmail.com; Tel: 551 081803, 2 374509, 2374503; www.barristers.ge; www.facebook.com/ახალგაზრდა ადვოკატები